

# შინაური საქმეები

№ 28.

კვირა, ოქტომბერი 25, 1909 წ.

ფასი წლიურად — 4 მან.

„ნახევარი წლით — 2 1/2 მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

უფელკვირეული გაზეთი.

**შინაარსი:** სიტყვა, — ეპისკოპოსი ლეონიძისა; უძრავი თანამდებობა და მისი ავლადიდება; სასუფეველი ღვთისა; სად ხართ? — დიმიტრას მამა და შვილისა; დემრთი თუ ნივთიერება? — სანაწიანისა; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ ხელის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას — სანაწიანისა; ხმა მრევლისა.

უფელკვირეულ გაზეთ  
**„შინაურ საქმეებს“**  
 ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — კაზაკაფის შესახვევში № 17) და სენარქიო საბჭოში.  
 წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.  
 — გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს. —  
 დარჩენ. №№ ახალი ხელის მომწ. დაეთ. 1 მ. ღ 50 კ.

**სტამბა**  
 იმერეთის წმ. გიორგის ხარწ. — განმანათ.  
**„მომბისა“**  
 ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირიშხვიას სახლში, გუბერნატ. კანტელარის ქვეშ.  
 ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს  
 — ხელ-მისაწვდომ ფასებში —  
 ასრულებს სუფთად ღ თავის დროზე.

**სიტყვა,**  
 თქმული 11 ოქტომბერს ქ. ბათუმში გრიგოლ ვოლსკის დასაფლავებაზე.  
 გლოვა მწუხარებით მოცულნო,  
 ძვირფასო მსმენელებო!

კიდევ მოსწყვიტა უღმობელმა და განუკითხავემა სიკვდილმა ჩვენი დაჩაგრული სამშობლოს დამწვარ მკერდს საუკეთესო შვილი კიდევ გამოაკლდა ჩვენი მწერლობის, ჩვენი სიტყვიერების მუშაკთა ისედაც მცირე წრეს ნიქიერი მწერალი, კიდევ დავკარგეთ უებრო მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე. რამდენიმე წამი კიდევ — და უსულო გვამი ძვირფასი გრიგოლისა სამუდამოთ ამოეფარება შავსა და ცივს მიწას, სამუდამოთ გასწყდება ჩვენს და განსვენებულს შორის ამ ქვეყნიურში, ხორციელი კავშირი.

მართალია, სიკვდილი იმდენად ძველია ქვეყნიერობაზე, როგორც თვით ადამიანი, მართალია, იგი საყოველთაო აუცილებელი მოვლენაა, დღეს თუ გრიგოლს ვმარბავთ, ხვალ ჩვენთვის გაიქრება სამარე. შემდეგ სხვისათვის და ასე ყვილანი დავხოცებით, მაგრამ მაინც ვერ შევრიგებებიართ სიკვდილს, მაინც ყოველთვის ტირილი და ცხარე სრულს იწვევს იგი ჩვენში.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დასტურებულია



ხოლმე მხოლოდ იმაში, რომ ზოგიერთა პირების გარდაცვალების გამო ტირილი, გლოვა და ცრემლთა ფრქვევა ნიშანია ჩვენის მხრით გარდაცვალებულთა ნამდვილ ვინაობის გამოკვეყნებისა, მათი მოქმედების დაფასებისა, მათი იდილების შეგნებისა, მათდამი დამსახურებულ სიყვარულის გამოთქმისა, ამასთან, რაც უფრო თვალსაჩინო ნიჭის პატრონია ესა თუ ის მიცვალებული და რაც უფრო მეტად დაჰმარებია მას თავისი ნიჭი საზოგადოების კეთილდღეობისათვის, მით უფრო ფართოა ხოლმე მოტირალთა წრე, მით უფრო მეტს ალავს იქერენ ხოლმე მიცვალებულის კუბოს გარშემო საზოგადოება და გარეშე პირები. და აი ცხადი მაგალითი ნათქვამისა: უდროვოდ დაკარგული გრიგოლის კუბოს გარს ევლებიან და ქირისუფლობენ უმთავრესად და განსაკუთრებით ბათუმის ქალაქის მკვიდრნი და არა მარტო მისი ნათესავნი, არა მარტო მისი პირადი მეგობრები.

ეს ერთსულობით გლოვა და ქირისუფლობა მთელი ბათუმის საზოგადოებისა, ეს ცხადი გულსმოდგინება, რომ თვითეული მოქალაქე მიუახლოვდეს გარდაცვალებულის კუბოს ეს მეცადინობა, რომ უეჭველად თვითეულმა მოქალაქემ ცრემლით დაავლტოს მიცვალებულის გვამი, დიდმა და პატარამ რითამე გამოხატოს თავისი რწმენი და გულითადი სიყვარული მიცვალებულისადმი, ყველა სიტყვაზე უმჭერმეტყველესად ლაღდებს და ამტკიცებს ვინ და რაც იყო ბათუმისათვის გარდაცვალებული, რისთვის შეუწირავს მას თავისი სიკოცხლე, ფართო განათლება და მაღალი ზნეობრივი ძალა. გრიგოლის დიადი ღვაწლი ბათუმის მკვიდრთა კეთილდღეობისათვის უკვე აღნიშნეს ჩემს წინეთ უტყუარი სინამდვილით და შესაფერი მჭევრმეტყველებით იმათ, ვინც მხარში უდგნენ გარდაცვალებულს და მოწმენი იყვნენ მისი სამაგალითო მოღვაწეობისა. ამ მხრივ მე აღარა დამრჩენიარა სათქმელად. ან კი რა საქირთა ყველა ამის გამოფენა, ყველა ამის გამოკვეყნება, ყველა ამის აღნიშვნა და დამოწმება?

ყველამ ვიცით, რომ გრიგოლი მუშაობდა და მოღვაწეობდა თავგანწირულად არა საკუთარი სახელის გასადიდებლად და პატივისცემის მოსახვეჭად, არა იმისათვის, რომ მის შესახებ ელაპარაკათ, იგი ექოთ, მხრებზე შეესვათ. არა, მისი დაუღალავე შრომაა მაცადნეობის ერთად ერთი მოტივი იყო განუსაზღვრელი სიყვარული სიმართლისა და მოყვასისადმი. თუ კი გარდაცვალებული გრიგოლი დაინახავდა, რომ მისმამ შრომამ აღადგინა გათელილი სიმართლე, მისმა სიმართლემ რამე სიკეთე შესძინა ადამიანს, იგი ბედნიერად გრძნობდა თავს, ჩუმათ სტკებოდა კმაყოფილების სიამოვნებით და ამ ზნეობრივი კმაყოფილების გარეშე ყოველ გვარ ქება-მოწონებას იგი სთვლიდა ფუქსავატობად.

მაშ, თუ გვსურს ამ კუბოს წინაშე ჩვენი ზნეობრივი მოვალეობის ღირსეულად მოხდა საქირთა შევასრულოთ, განვახორციელოთ და გავარიგოთ ისეთი რამ, რასაც განსვენებული სულით და გულით ეტრფოდა, რის განხორციელებასაც იგი ნატრობდა.

მოგეხსენებათ, რომ გრიგოლი ბათუმს საერთაშორისო ქალაქად სთვლიდა; იგი ამბობდა აქ, ბათუმში, უნდა გაიკონ ჩემი თანამოძმე და თანა მოსისხლე ქართველები უცხო ერების წარმომადგენლებმა, როგორც მოქალაქენი, როგორც ვაჰარნი, როგორც მეურნენი, როგორც მრეწველნი, როგორც მეოჯახენი, როგორც ქრისტიანენი და სხვა, ამის გამო იგი დაუღალავად შრომობდა ბათუმელი ქართველების ცხოვრების ყოველ მხრით გაუმჯობესებისა დამ შესაძლო განვითარებისათვის.

განსვენებულს გული სწყდებოდა, რომ აქაურ ქართველებს არ მოეპოვებათ საკუთარი ეკლესია, აქაურ ქართველები მოკლებულნი იყვნენ სამშობლო ენაზე ღვთის ვედრებას და წირვა-ლოცვის მოსმენის ბედნიერებას და, სხვათა შორის, აი ამ თვალსაჩინო ნაკლის შევსება მოინდომა მან, გულში ჩაიღო ბათუმში ქართულ გემოვნებაზე ქართული ეკლესიის გაჩენა, ჩაუდგა ეკლესიის აღმაშენებელ კომიტეტს თავში მოუპოვა ქართველების

მომავალ ტაძარს ჩინებული ალაგი გაუქრა საძირკველი, ამოიყვანა ნახევრობამდე კედლები, მაგრამ როგორც ვხედავთ, განგებამ არ არგუნა მას დაწყებული საქმის დამთავრება და ეს მისდევს მას სამარეში დარდად და მწარე ვარმად.

თქვენ, ბათუმელმა ქართველებმა, არ დაუთმეთ განსვენებულის გვამი მოხუცებულ თბილისს, რომელიც, რა კითხვა უნდა, არ დაიშურებდა ამ თავის საყვარელ შვილის ნეშტისათვის შესაფერ ალაგს რომელიმე ძველებური ტაძრის ეზოში მახლობლად ქართველთა მოღვაწეთა და მწერალთა საფლავებისა. დიდი გულსმოდგინებით და პატივისცემით წამოასვენეთ დასაკრძალავად ჯერ გაუთავებელი თქვენი ტაძრის ეზოში, რასაკვირველია იმ განზრახვით, რომ ყველას დაუმტკიცოთ: გრიგოლი აქ უფრო მოსვენებული იქნება, მას ეს ეკლესია დიდად უყვარდა, ენატრებოდა მისი დასრულება და ჩვენ ბათუმელი ქართველები, გრიგოლის გვამის აქ დასაფლავებით, ვალად ვიდგენთ შეუსრულოთ გარდაცვალებულს გულის ნატვრა და დავამთავროთ მისგან დაწყებული ეკლესიაო.

ზეციერმა მამამ მოგცეთ შეძლება ასეთი კეთილის განზრახვის შესრულებისა.

განისვენე შვიდობით, სიმართლისა და პატიოსნების უანგარო მუშაკო, დაუვიწყარო გრიგოლო, და იცოდე, რომ შენი ახლად დაქრული სამარე შეიქნება დღეიდან ბათუმის მკვიდრთათვის სამარადისო ჩამგონებელად და აღმზრდელად ძმათა სიყვარულის მოქალაქობრივი პატიოსნებისა და მუდმივ წინსვლის გზაზე დგომის.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

### სუბრაჯი თანამდებობა და მისი აკლადილება.

საღდათი ღენერლობას მოეღოს, ჩინონიკი აღმატებას. ყველანი მცირე სამსახურიდგენ იწყებენ და უმალღესზე გადადიან, თან ჯილდოც ემატებათ და ჯამაგირიც. ვის არ უნა-

ხავს ძლიერს სასულიერო სასწავლებელში კურს დამთავრებული გამოიმძიებლიდ, სუდიათ, ბოქაულათ, სეკრეტრათ და სხვა და სხვა. მაგრამ არაფერი ეშველა ამ ამხრათ ორ მოხელეს მღვდელს და სოფლის მასწავლებელს.

ორივე დაჩაგრული, ორივე დაბეჩავებული, ყველასაგან და ყველგან დაფიწყებული და გადაგდებულნი, სდგანან იგინი ყოველ მოხელეთა შორის გამოორიცხული, უარყოფილი ბედისაგან განმარტებულნი. აწმყო ბეჩავი, მომავალი უიმედო, არაფითარი აღმატება, არაფითარი ცხოვრების ნივთიერად გაუმჯობესობა მათ არ ახარებს, არ ანუჯეშებს არ ამხნეებს მათ, არ უადვილებს ეკლიან გზის სიძნელეს. რომელიმე უფროსის თვალში დაწინაურებულ მწერლუკას რომ ჰკითხო, რის გულისათვის გასცვლი შენ მდგომარეობას სოფლის მღვდლის ან მასწავლებლის მდგომარეობაშიო, ზედაც არ შეგხედავს. ან რათ უდა შეგხედოს, როცა, ხვალ იქნება თუ ზეგ, წითელ მაუდიან სტოლზე წამოსკუბდება, ან ეპოლეტებს გადიქიმავს და მღვდელსაც და მასწავლებელსაც თავზარს დასცემს.

არ შემძლია, აქ არ აღენიშნო ერთი ფრიად შესანიშნავი ამბავი ამ მხრით ახლოწარსულიდგან. ეგრეთ წოდებულ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ერთი პროპაგანდისტი მიყრუებულ სოფელში მიაგდო ბედმა. რა თქმა უნდა, ხალხი ბლომად დაუხვდა და პროპაგანდისტმა თავის გაკვეთილი ბრწყინვალედ გადასცა. არ დაივიწყა, რასაკვირველია. მღვდელი მოიხსენა მისი საიქიო, ზარება, მონათლა მატყუარად, მუქთა ხორად, არარას ღირსად. მღვდელი უყურებდა ამას და სდუმდა. ბოლოს, როცა პროპაგანდისტმა გული იჯერა, როცა ღმერთიც და ხელმწიფეც ორივე ტახტიდგან ყირამალა გადმოყარა და ხალხი დაიშალა, მღვდელმა გაიხმო იგი, გადაახედა ერთ დიდ ჯურღმულში, რომელიც მის სამწყსოს შეადგენდა და ჰკითხა: „ამხანაგო! რის გულისთვის გჩერდები აქაო.“ „არც მილიონისათვისო, უპასუხა პროპაგანდისტმა. ჯაქვით რომ დამაბა, ერთ დღესაც ვერ გამაჩერებო“. „მე კი სულ სამას მანეთს

ვლებულა წელიწადში და ამ ჯურღმულში მთელი წლობით ვიხრობი. წელიწადში ერთხელ ვერსად გავდივარ, რომ ქვეყანა ვიხილოვო და შენ რა საბუთით მიწოდებ მუქთა ხორასო. რაც შეხება მატყუარობას, ეს კიდევ სადაო კი-ხვია, შენ უფრო ვატყუებთ შენშენი სოცია-ლიზმით, რომელიც თვით არ გესმის და არ გწამს, თუ მე ქრისტეს მოძღვრებით, რომელიც მიმხნევენს მეც და ამ საწყალ ხალხსაც, რომელსაც შენ ყურები გამოუჭექე ძმობა-ერთობით და ერთ დღესაც არ გინდა გაჩერდე და მათ ყოფა-ცხოვრებაში ჩაიხედო, რომ გაიგო, რამდენათ შეესაბამება შენი დღევან-დელი ქადაგება ამ საწყალ ხალხს, რომლის ოფლით შენც იკვებებიო. მაგრამ პროპაგან-დისტს მაგისი არ ცხელოდა, მას თავისი საქმე უკვე შეასრულებია და წასვლას იჩქაროდა.

ვინ იცის დღეს ეს პროპაგანდისტი ხმალ გადაკიდული ბოჭკულის მუნდერში სოფელ-სოფელ დაიარება, ათას რუას მანეთს ჯამა-გირს ღებულობს და ამდენსვე, თუ მეტს, არა სხვა გზით შოულობს, ჩვენი ნაცნობი მღვდე-ლი კი იქვე, იმ ჯურღმულში აგდია, ხალხს ემსახურება და მადლობის მაგიერ საყვე-დურს და ლანძღვა გინებას ითმენს!

ძნელია, როცა კაცს აწმყო არ აკმაყო-ფილებს და მომავალი, არას უქადის! ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ განგებას შეუძლია, შეინახოს იგი სასოწარკვეთილებისაგან.

ამის შემდეგ იზოგებიან კიდევ ადამიანები (?), უფრო (მოინტელიგენტები), რომლებიც მღვდელს შურის თვლით უყურებენ და მის მდგომარეობას მატერიალურად მადლა აყენებენ. არავინ დარწმუნებული არ არის, თუ მღვდელს ათასობით არ შემოუღდის მრევლიდან, თუ მას ბანკები სავსე არა აქვს ფულით. „რა გიშავთ, მკვდარი თქვენია და ცოცხალიო!“ აი რა სიტყვებით აჯილდოებენ ხოლმე მღვდელს. ნუ გეშინია ეჭიშ და ვეჭიშ არავინ ეტყვის ასეთ საყვედურებს, თუმც ეს ვაუბატონები ერთი ორად სარგებლობენ მკვდრებითაც და ცოცხლებითაც.

აქვე არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ საფუ-ლისმბიერო მაგალითი ახლო წარსულიდან. ეს

მაგალითი ამტკიცებს, რამდენად არ იციან ჩვენმა გამაბედნიერებლებმა ჩვენი სამღვდელეების შემოსავალ-გასავალი. აი ფაქტიც.

ერთი პროპაგანდისტი მივიდა კვირა დღეს ეკლესიაზე. წირვა გამოსული იყო და ხალ-ხი იშლებოდა. პროპაგანდისტი რომ დაინახეს, რამოდენიმე მლოცველთაგანი დარჩა ეკლესიის გალავანში. გაიმართა ჩვეულებრივი ბა-ასი და პროპაგანდისტი შეეხო მღვდლის შე-მოსავალს. „შენ დრამას რაღათ უნდა თხოუ-ლობდეო, უთხრა მან მღვდელს, ჯამაგირი ხომ გაქვს ექვსასი მანეთი, ჯვარსაწერი ხომ გეყოლება წელიწადში ერთი ასი, ესეც შენი 1000 მანეთი, სანათლაგიც ერთი 200, ესეც ორასი მანეთი, ეხლა მიცვალებულიც ასამდე, ესეც კიდევ ასი თუმანი და სხვა წვრილმანი შემოსავალი კიდევ, სულ მცირე, ხუთასი მანეთი ვიანგარიშოთ, ამნაირად სამი ათასამდე მანეთს ღებულობო. ამის შემდეგ კიდევ სწუხართ, რატომ დრამას არ გვაძლევენო“.

„სკდებით, უთხრა მღვდელმა. მე მაგ ანგარიშის მეოთხედზე სიამოვნებით დაგთა-ნხმდებოდით, რომ გამაბედნიერებდეთ. ჯამა-გირი 600 მ. მაგიერ 80 მანეთი მაქვსო, ხოლო რაც შეეხება ათასობით შემოსავალს, ამას ჩემი შემოსავალ-გასავლის წიგნი გიჩვე-ნებს“-ო. ამ სიტყვებით ადგა მღვდელი და ეკლესიიდან მეტრიკის წიგნი გამოიტანა. „თქვენ კარგათ უნდა მოგეხსენებოდესო, გა-ნაგრძო მღვდელმა, რომ ჩვენ ვალდებული ვართ ყოველი ნათელღებული, დაქორწინებუ-ლი და მიცვალებული ამ წიგნში ჩავწეროთ. აი ეს დავთარიც და ვიანგარიშოთ, რამდენი დაბადეაულა, დაქორწინებულა და გადაცვლი-ლა წლის განმავლობაში“-ო. (საბედინროთ ეს ამბავი სწორეთ შობის მიწურულში იყო). აღმოჩნდა 40 ნათელღებულ, 5 ჯვარსაწერი-ლი და 10 მიცვალებული. „ეხლა იანგარი-შეთ თქვენი ტაქსით, რამდენი უნდა ამელო ამ წლის განმავლობაშიო,“ მიუბრუნდა მღვდე-ლი პროპაგანდისტს. პროპაგანდისტი გაჩერდა. ასე, ბ. ამხანაგო! თქვენ რომ მარქსის „კაპი-ტალს“ არ გაეტაცნეთ და ცოტა ჩვენ ცხო-ვრებაში ჩაგხედათ, იმედი მაქვს, მაგ შეხე-

დულების არ იქნებოდით სამღვდლოებაზე და მის ავლა-დიდებაზე. ეხლა ხომ ხედავთ, რომ მღვდელს ათასობით არ უწყვია. თქვენ არ ამტკიცებთ, რომ ხალხი გატყაულიაო? და აბა ას ორმოც და ათი გატყაული გლეხისაგან საიდან შეიძლება წელიწადში 3000 მ. აილო? ათი წელიწადია მღვდელი ვარ და შენი ანგარიშით ოც და ათი ათასი მანეთი უნდა ამეღო, და აბა დაიარე მთელი სამრევლო, თუ ამის საფასოს რამეს ნახავო. მოგეხსენებათ, ენას ძვალი არ აბიაო და არც აბიაო, მაგრამ ენის ძვალი კაცის კეთილ-გონიერება უყოს, რომლითაც მეტი არ იქნება აღიკურვოთ, როცა ჩვენი სამღვდლოების ავკარგზე სჯითო\*. შეცვალა თუ არა პროპაგანდისტმა აზრი ამის შემდეგ, სამღვდლოებაზე, არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ არ შეიცვლიდა, რადგან მღვდლის გაულანძღავათ მის პროპაგანდას არც აზრი ექნებოდა და არც მადლი.

ბოსლეველი.

სასუფეველი ღვთისა \*

„მოვედინ სუფევა შენი“!

ასე ხსნის სახარება საკითხს მომავლის გაუმჯობესების საშუალების შესახებ. ამ ნაირად ადამიანთა ინტერესების სიმძიმის წერტილი დასდო იმან სულიერ ზნეობრივ ქვეყანაში და არა ნივთიერ და ეკონომიურმა ამისთვის იმათი მაცადინებობა, რომელთაც სურთ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესობა, უნდა იქნას მიმართული იმისადმი. რომ გარკვეულ, შეთვისებულ და აღსარებულ იქმნეს ქეშმარიტება და დაბყარდეს ღვთის სასურველ მათ და მოყვასების გულში. „პირველად ეძიებდით სასუფეველსა ღვთისასა და სიმაართლესა მისსა, (მათ წთ. 33მ). ამბობს მაცხოვარი, დანარჩენი შეგეძინებათ, მოვა თავისთავად.

სახარება არ გვეუბნება ეძიეთ მხოლოდ სასუფეველი ღვთისა“, არამედ ამბობს: ეძიეთ პირველად ყოვლისა. ეს ნიშნავს, რომ ზრუნვის ღვთის სასუფეველზე და მისწრაფებას ცხოვრებაში სიმაართლისადმი უნდა ექიროს ჩვენ ცხოვრებაში პირველი ადგილი, მაგრამ

ეს სულაც არ უკრძალავს ზრუნვას ხორციელ მოთხოვნილებებზე, და არ უარყოფს იმის საჭიროებას და კანონიერებას. ქრისტეს სწავლით ნივთიერი სიკეთით სარგებლობა და სიამოვნება არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ უზნეობას, უზნეობა მაშინ იქნება როცა მთელი ჩვენი აზრები და მისწრაფებანი დაექვემდებარებიან მხოლოდ ნივთიერ ინტერესებს. თუმცა სახარება კი ამბობს, რომ ადამიანი მარტო პურითა ვერ ცხოვრობსო (მათ. 4თ. 3მ.), მაგრამ იგივე გვასწავლის ლოცვად „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღესო.“ სხეულის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებს უნდა იქმნეს მაგრამ გადამეტებით არა, აგრეთვე წვრიმალნი სურვილები არ უნდა გადაიქცეს მოთხოვნილებები, საქმელი, სასმელი, ტანსაცმელი, ბინა აუცილებლად საჭიროა ადამიანისათვის და იმათზე ზრუნვა არასოდეს არ გახდის იმას ბიწიერად: სულ სხვა საქმეა, თუ ეს საჭიროება გადაიქცევა ადამიანის გარყვნილებად. სოგრატო ამბობდა: „უნდა ვსკამოთ, რომ ვიცხოვროთო,“ ადამიანები კი დიდი სიამუნებით იცხოვრებდნენ იმიტომ, რომ სკამონ. ბევნი საქმელ საკვებავთ კი არ ეძიებენ, არამედ სასიამო გემოვნების გრძნობისათვის. მოთხოვნილებები რთულდება ბევრი სურვილებით და ხდება რაღაც ღვთაებათ, რომლის სასამსახუროდ ადამიანი ხარჯავს არა მცირე სულიერ ძალებს, რომელიც გვამცირებს ჩვენ პირუტყვამდე, და აჩენს ჩვენში გულგრილობას მოყვასის გაქივრების და მწუხარების შესახებ. ლოკოინები, სტრასბურგის ხაქაპურები ძვირფასი ღვინოების დაყოლებით იმ დროს, როცა უშეტესობას შიშშილით სული ძვრება, ისეთი სასიარტხო მოვლენაა, როგორც გაცხარებული ცეკვა ცეცხლის წაქიდების დროს და სიმთვრალით ქეიფი ავადმყოფის სარეცელთან. ასე ვიქცევით სასმელის ბინის, და ტანისამოსის და მრავალი სხვების შესახებაც. ბინა და ტანისამოსი საჭიროა სტიქიონის გამანადგურებელი ძალისაგან დასაცველად, მაგრამ ჩვენ გადავიტყვეთ ის ამაო თავმოწონების საშუალებად. ადამიანი არ კმაყოფილდება იმ სასმელს, რომლებითაც

წყურვილს იკლავს და დაუსრულებლად განაგრძობს სხვა დასხვა გვარი თაფლის, ლუდის და ლიქორების მოგონებას, რომელთაც წყურვილის მოსაკლავათ კი არ ხმარობენ. კვლავ მოთხოვნილება გადამეტებულად ხდება და იქცევა რალაც შეუბრალებელ მტარვალად, რომლის მსხერპლად იწირვება ხოლმე ხშირად ადამიანის სულის საუკეთესო ნიქნი. ყველა ეს გადამეტებული მოთხოვნილებები, (ჩამოთვლილი შეადგენს იმათ მხოლოდ უმცირეს ნაწილსა) იზრდება უკიდურესობამდე თავის ხებრე მიდრეკილებით ავსებს ადამიანის სულს, უყურებს იმას ყოველივე მალას და წმინდას და აქცევს იმას პირუტყვად. სახარება აფრთხილებს რა ამიდანს, არწმუნებს: ნუ ზრუნავთ და იტყვიან რაი ესკამოთ და რაი ესვათ? ანუ რამე შევიძინოთ? ვინაიდან ყველა ამას ეძიებენ წარმართები (მათ. 6. 31—32), ხოლოდ წარმართებს, ესეიგი ისეთ ადამიანებს მრომელთაც აქვთ ხებრე გული და გაუღვიძებელი ზნეობრივი გრძობა, შეუძლიათ დაკმაყოფილდენ მარტო ნივთიერ ინტერესებ ბრუნვით და იმაში დაისახონ ერთად ერთი მიზანი, რომლის სამსახურს ანდომებს ცხოვრების ცხოვრების ყველა უმაღლეს ფორმებს. ღვთის სასუფეველის ძეთათვის კი გარეგანი ქვეყანათვის ნივთიერი სიკეთით უნდა შეადგენდეს საშვალებას იმ მიზნის მისაღწევათ, რომელიც სძევს გარეშე და მალა ნიქვთიერი ქვეყნისა. ისინი ქვეყნიურ სიკეთეს უარს კი არ უნდა ყოფდენ, მხოლოდ იმათზე მალა უნდა იდგენ. მთელი მათი გონება, იმედები, მთელი მათი გრძობები და სიყვარული უნდა იქნეს მიმართული უმთავრესად დედა მიწაზე ღვთის სასუფეველის დამყარებისა და ღვთის სიმათლის გაძლიერებისადმი. რაც შეეხება ნივთ ერ სიკეთეს და იმით სარგებლობას, თუ იმით ქრისტეს მიმდევარი აკმაყოფილებს თავის ხორცის არსებითს მოთხოვნილებებს, რაიცა ძლიერ კოტაა, მაშინ იმის ქონებას თუ არ ქონებას იმისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

### ს ა დ ხ ა რ თ ?

მთელი განვლილი ზაფხული ქართლში გაავატარე. დღე მუდამ მშრომელ ხალხში ვტრიალებდი, სოფლის მკვიდრთა გრძობა-აზროვნებას ვადევნებდი თვალ-ყურს, მათი სულიერი ცხოვრების სუფრას ჩავსცქეროდი, მათს სარწმუნოებრივ სოფლმხედველობას ვაკვირდებოდი და ვცდილობდი, რამდენადაც შესაძლო იყო, გამეგო—ღვრის კიდევ ქართლელი გლეხის გულში სარწმუნოებრივი ნაპერწკალი, თუ იგი გამქრალა და ნაპარ-ფერფლად ქცეულა.

ჯერ კიდევ ყველას ცხოველად გვიდგათვალ წინ ის უღმობელი და ფიცხელი დენა სარწმუნოებისა და ეკკლესიისა, რომელიც თან დაჰყვა ჩვენში ვგრედ წოდებულ განმათვისუფლებელ მოძრაობას. ამ ოთხი წლის წინეთ მოძრაობის ერთგული და თავდადებული მომხრეები ცდილობდნენ სასწავლებლიდან საღმრთო სჯულის გამოდენას, ბევრგან დასამცირებლად სარწმუნოებისა, ტალახიანი ფეხებით დგებოდნენ ტრაპეზზე, ეკკლესიებში შეუდიოდნენ საქონელი, ან და ტილოს ხატებს სკრიდნენ თავებს. მაშინ ვის შეეძლო გამოემულავნებია, რომ მას სწამს ღმერთი, სული, საიქიო და ამისთანები! გლეხობაც შეკრთა, შეშინდა, არ დამწვან, არ მომკლან სარწმუნოებისთვისო და გულზე ბოლმა მოწოლილი უნებლიეთ თმენულობდა თავის მამა პაპის სალოცავის შეგინებას. ეს ძალდატანებითი სიჩუმე გლეხისა სარწმუნოების მდევნელებმა მიიმჩნიეს თავიანთი ქადაგების გამარჯვებად და ამიტომ გააბეს ყვირილ-კიჟინი: „ჩვენ ხალხი განვითარდა, იგი ურწმუნო გახდა, თავი დააღწია ეკკლესიის ტლანქ გავლენას, კრელიკალიზმს, დაჰკარგა რწმენა ღვთისა და დღეიდან მისი სულიერი ცხოვრების ხელმძღვანელ ძალიდ გახდა მარქსიზმი და სხ. და სხ. მაგრამ იგერ ღელვამ გადიარა, ქარბუქი დადგა; ცამ ღრუბელი გადიყარა, ხალხმა თვალებიდან ბინდი მოიშორა, გული ისევ სიჭულეში ჩაიღო და კვლავ შეუდგა კოტად თუ ბევრად დამშვიდებულ ცხოვრება—მოქმედებას.

რას ვხედავთ დღეს? მართლა მარქსისტიკა ქართლელი გლეხი? მართლა ახალი თაობის ურწმუნო მქადაგებლების გავლენით გაურწმუნოვდა და გაუღვითოვდა ქართლელი გლეხი, თუ იგი ზნეობა სარწმუნოების მხრივ ისევ იმადვე დარჩა, რაც იყო მოძრაობამდე?

აი, ბატონებო, ქართლი; მიბძანდით, კარგად დააკვირდით გლეხობის მსჯელობას, ფიქრს, გრძნობას, ყოველდღიურ საქციელს შინ და გარეთ, სუფრაზე და გუთანზე, ტყეში და რთველში, ბარვაში და რწყვაში და ცხადათ დაინახავთ, რომ ქართლის გლეხობა სარწმუნოების მხრივ შეურყეველ-შეუცვლელია, ის საესებით და უმეტ-ნაკლებოდ იგივეა, რაც მოძრაობამდე იყო. გლეხობაში მოძრაობამ მარტო ის მოახდინა, რასაც მოახდენს ხოლმე ხეხილის ბაღში ქარი. ჩვეულებრივ ქარი ჰბერტყავს და აყრევინებს მხოლოდ ხეებს ქიანს, უფარგისს და სახიჩარ ნაყოფს; მსგავსად ამისა მოძრაობამაც მოსწყვიტა ეკლესიას, ოჯახს და ერს მარტოდ მარტო ის ნაწილი, რომელიც წინადავე დაქიანებული, ღამბალი და დამახინჯებული იყო სულიერად, ოღნავლა ეკიდა თავისი წამხდარი ყუნწით საღი ცხოვრების ხის ტოტზე და აუცილებლად ქარის პირველსავე შემობერვას უნდა ჩამოვარდნილიყო ძირს. გლეხობის ასეთ უფარგის ნაწილს შეადგენს სოფელს მოწყვეტილი და ქალაქებში გაქსუებულ-გასალახანავებული მცირედი ჯგუფი და თუ გლეხთა შორის წინეთ ან ახლა იყო ვინმე და არის სარწმუნოების მოწინააღმდეგე, ესენი ყველანი ამ უბადრუკ ჯგუფს ეკუთვნიან. რასაკვირველია, ასეთი პირების მოწინააღმდეგობა არაფერს ნიშნავს და მათი თავიდან მოშორება უფრო სასარგებლოა, ვიდრე დასაკლისი.

თუმცა ქართლელი გლეხი სარწმუნოების მხრივ მოძრაობიდან გამოვიდა სრულებით შეურყეველად და შეუცვლელად და მტკნარი სიცრუე და სიყალბე გამოდგა განგაში გლეხის გაურწმუნოების შესახებ, მაგრამ ეს გარემოება ჩვენ მაინც არ გვაკმაყოფილებს, ჩვენ მაინც გვული გვტყავს და აღვიარებთ, რომ სარწმუნოებრივი საზნაო ქართლელი გლეხისა ერ-

თობ მცირე, უმნიშვნელო, უყუათო, გამოფიტული, გამოუსადეგარი და გამხდარ-დაობებულია, რომ ქართლელი გლეხის ზნეობრივი მხარე ხშირად ისეთივე ჭუჭყიანი და უფაქიზოა, როგორც მისი მოქმედება იმდენად მომოგავონებთ ქრისტიანობას, რამდენადაც მის ქონში უგემურად მბეუტავი „კრუქკა“ ელექტრონის ბლდერიალა მზეს და სხ. ჩვენდა სავალალოდ უნდა აღვიაროთ, რომ ქართლელი გლეხის სარწმუნოებრივი მსოფლმხედველგლობა ბუნდოვანი და გაურკვეველია, იგი დიდათ დაშორებულია ქრისტიანობაზე.

ვინაა ამაში დამნაშავე? ნუ თუ საბრალო გლეხი მთელი თავისი არსებით მონდომებული არ არის, რომ ქრისტეს მოძღვრება შეიგნოს? ნუ თუ მის არა სწყურია წმ-სახარების გაგება და შესმენა? „ქრიტეს ვენაცვალე“, „ქრიტეს სახელს ქირი მოვჭამე“, „ქრიტეს მაღლმა“—განა სულ ეს არ აკერია პირზე ქართლელ გლეხს? მაგრამ ვინაა შემსმენი მისი ხვეწნა-მუდარებისა, სად არის კაცი, რომ ეს სარწმუნოებრივ გრძნობით მდიდარი ხალხი დაუახლოვოს ქრისტეს, გაუთბოს მათ გული სახარების მოძღვრების საღათ გადაცემით და მოაწყობინოს მათ თავიანთი ყოფა-ცხოვრება თანახმად ქრისტეს მცნებათა. თუ მთესვარმა არა დასთესა რა, არც სამკალი ექნება. აქაც ქრისტეს მოძღვრების მთესვარია საქირო და ქრისტეს მოძღვრების თესვა ყველაზე პირველად მღვდელმთავრის უმთავრესი საქმე და მოვალეობაა.

ჰყავს თუ არა ქართლს მღვდელმთავარი? პასუხს შეუცდომელად მივაგნებთ, როდესაც გამოვიკვლევთ მღვდელმთავრის მოვალეობის არსებით მხარეს.

მღვდელმთავრის უპირველესი მოვალეობა, მისი მსახურების არსებითი მხარე მათეოთ და ნათლათაა გამოთქმული მაცხოვრის სიტყვებში: „მე ვარ მწყემსი კეთილი; და ვიცი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ“ (ივ. 10,14) ეს სიტყვები შეადგენენ მღვდელმთავრის სამოქმედო პროგრამას და ამ მცნების შესრულებითა თუ შესრულებლობით უნდა ფასდებოდეს მღვდელმთავრის ღირსება. ცო-

დნა საკუთარი სამწყსოსი, ცოდნა ღვთისაგან ჩაბარებულ სიტყვიერ ცხოვართა ქირისა და ლხინისა, ღირსებისა და ნაკლულევანებისა, მათი სულის კვეთებისა, სიახლოვე საწყმსოსთან იმ ზომამდე, რომ თვითეულ ცხოვარს შეეძლოს საკუთარი მწყემსთმთავრის ცნობა მისი სახის დაუნახავად, მისი სახელის წარმოუთქმელად, მარტო მისი ხმის გაგონებით—აი ერთად ერთი ღირსება, რომელიც მოსავს მღვდელმთავარს საღმრთო მადლის შარავანდელით, აი ის ზეციური მადლი, ურომლისოდაც მწყემსთმთავარს აღარ ეთქმის „კეთილი მწყენსი“ და გადიქცევა ცხოვართვის „სასყიდლით დაღვნილ“ მწყემსად.

მშვენიერად ესმოდათ ეს მორწმუნეებს და ამის გამო იყო, რომ ქრისტიანობის პირველ ხანებში თვითეულ მორწმუნე ქალაქს, დაბას და მოზრდილ სოფელს აუცილებლად მწყსიდა საკუთარი მწყემსთმთავარი, რომელიც სიკვდილამდე რჩებოდა ერთსა და იმავე სამწყსოში, არ შორდებოდა თავის სულიერ შვილებს, მუდამ დღე იზიარებდა მათს მწუხარებას და ლხინს, სიტყვიერ და მაგალითით უნერგავდა მათ სარწმუნოების ერთგულებას, უნათლებდა გონებას მაცხოვრის მადლი, მოუძველებელი და ნათელ მოსილი მოძღვრების აზრიანი, მისაწდომი და საგულისხმო ახსნა—განმარტებით.

აღნიშნული მცნების ნათლად შეგნებას უნდა მივაწეროთ, რომ ქართლს სდარაჯობდნენ და მწყსილდნენ თბილელი, მანგლელი, სამთავროელი, წილკნელი, ნიქოზელი, სამთავისელი, ურბნელი, მაწყვერელი და სხ.

მაგრამ უკანასკნელი ქათალიკოზის ანტონის შემდეგ ჩვენი ეკლესიის მართვა გამგეობა მოაწყეს რუსეთის ეკლესიის მართვა გამგეობის უაიდაზე რაკი რუეთში მღვდელმთავრებს ჰბარდებოდათ სამწყსოდ არა რომელიმე ქალაქი, ანუ მაზრა, არამედ უშველებელი გუბერნიები რაოდენიმე მილიონი მორწმუნე მცხოვრებლებით და მღვდელმთავრების უპირველეს მოვალეობად იყო მიმჩნეული აუარებელი ქალაღებით ავსილი კანცელარიის მართვა გამგეობა და არა პირდაპირი

დამოკიდებულობა სამწყსოსთან, ჩვენშიაც პირველმა მთავარ-მართებელმა ციციანოვმა კალმის ერთი მოსმით გააუქმა არსებული სამღვდელმთავრო კათედრები, გარდა საგუბერნიო ქალაქისა და ისიც შებოქა ქალაღებით გაქედილი საეპარქიო კანცელარიის წარმოებით. იმ დღიდან მოჰწყდა მღვდელმთავარი სოფელსა და მორწმუნეთა უმეტესობას, იმ დღიდან მოისპო სოფელში მღვდელმთავრების განწყობილი და ბრწყინვალე წირვალოცვა, დაიხშო ღმობიერებით აღვსილი საეკლესიო გალობა, გადავარდა ეკლესიაში ქადაგება, საღმრთო წერილის სწავლება, მიუწდომელი გახდა სოფლელებისათვის მღვდელმთავრის მართლ მკვეთელობა, რადგანაც სამწყსოსა და მღვდელმთავრის შორის აღიმართა სქელკედლად საჩივრის ქალაღებით ავსილი საეპარქიო კანცელარია...

შემოიარეთ მთელი ქართლი და დაეკითხეთ სადაც გნებავთ ქალსა და კაცს—რამდენჯერ უნახავთ თავიანთ სიკოცხლეში მღვდელმთავარი სოფელში მწირველი, რამდენჯერ გაუგონიათ სოფლათ მისი ქადაგება, რამდენჯერ აუღიათ მისგან ლოცვა-კურთხევა, რამდენჯერ გაუშინჯებიათ მღვდლებისათვის სამრევლო სასწავლებელი და სხ. „არ გინახავს, არ გვახსოვს“, აი რას გაიგონებთ ყველასაგან და, თუ სადმე გამოჩნდა გაჰონაკლისი, ე. ი. თუ ათასში ერთს გლვებს უნახავს ეპისკოპოსის წირვა, ამას უნდა უმაღლოდეთ იმ გარემოებას, რომ იმ სოფელში მიწვეული იქნებოდა მღვდელმთავარი რომელიმე მდიდარი თავადიშვილის გარდაცვალების გამო. ეს არის, სხვა შემთხვევებს ვერა პოულობს ქართლის მღვდელმთავარი, რომ სოფელში გავიდეს და ვინ არ იცის, რა გარიგდება და რა გაკეთდება გლოვისა და ტირილის დროს, რაზედ ფიქრობს და რაზე აქვს უმთავრესად მიქცეული ყურადღება ხალხს ქეღების ეამს\*).

\*) გაიხსენე მკითხველო, რომ ნეტარხსენებელი ეპისკოპოსი გაბრიელი ყოველ წლივ ათვლიერებდა სოფლის ეკლესიებს და შემდეგ ეკლესიის ყოველმხრივი გულდასმით დათვლიერებისა ეკლესიის ეზოში, ცი-

ნათქვამიდან ყველასთვის ცხადი და თვალსაჩინო ხდება, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ქართლს აღარ ჰყოლია და არც დღესა ჰყავს მწყემსთმთავარი სახარების მაღალი აზრით. აღარ ითვისება ქართლში მღვდელმთავრის შაღლიანი მარჯვენით ღვთის სიტყვის კურთხეული თესლი და ამის გამო ქართლელი გლეხი სულიერი შიმშილისაგან მიუძენილი-მიმკვდარებულია; აღარსაიდან აღარ ესმის ქართლელ გლეხს ხმა საკუთარი „კეთილი მწყემსი“-სა და ამიტომაც მოძღვრებად მიუძნევიან სოფლის დედაბრები, გაიძვერა მკითხავეები, უწრთენელი ხევის ბერები, დეკანოზები და სხ. ქართლის გლეხი დაქანებულია დღეს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი გათახსირება გაკოტრების საშინელ დაღმართზე, ქართლის გლეხობა, მოკლებული სულიერ მწყემსს, უგზო უკვლოდ დახეტიალობს დღეს ტყე-ღრეში და აღრე თუ გვიან აუცილებლად შეიქნება მგლებისა და დათვების ლუკმად.

მაშ სად ხარ, ჩვენო მწერლობავ? რატომ დღე მუდამ არ ებრძვი ამ საშინელ გარემოებას, რატომ თავგანწირულად არ მეცადინობ, რომ მოუპოვო ქართლელ გლეხს „მწყემსი კეთილი“? ხომ ვერსად ვერ მოიპოვებ ძალას, რომ აღემატებოდეს თავისი სიკეთით სახარების ძალას და რატომ არ ცდილობ, რომ სახარება გახადო ქვაკუთხედად ქართლელი გლეხის ცხოვრებისა, რატომ არ გჯერა დიდებული გიოტესი, რომელიც ამბობს, რომ „რაც უნდა გავრცელდეს მეცნიერება სიღრმით და სივრცით, რანაირი პროგრესიც უნდა იყოს კაცის გონებისა, ის ვერ აღემატება იმ ზნეობრივს კულტურას ქრისტიანობისას, როგორცადაც ის წარმოდგენილია სახარებაშიო“.

ცხვის ჩეროს ქვეშ, შემდგარი მაღალ ალაგზე, ატკობდა ხოლმე გონიერ და ღმობიერებით აღვსილ ქადაგებით თავმოყრილ ხალხს, რომელსაც ძვირფას განძავით მიჰქონდა სახლში სიყვარული მღვდელმთავრის მოძღვრება განსაზოტრებულად ცხოვრებაში და გადასაცემად მათთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ ბედნიერება, რომ პირადად მოესმინათ მღვდელმთავრის ქადაგება. რატომ არ გვაქვს ამ შემთხვევების დოკუმენტული სურათები?!

ან კიდევ „ერის გამძლეობის და ძლიერების საზომად ყოველთვის იქნება დამოკიდებულება ბიბლიასთან“-ო, ე. ი. საღმრთო წერილთან, სარწმუნოების მოძღვრებასთან?

სად ხარ და რას არიგებ შენ, მცირე მოძმეთა მეგობრად წოდებულო, ქართლელი სოფლის სკოლის მასწავლებლო, თუ მართლა ხალხისთვის ზრუნავ, თუ ხალხის სიკეთე გწყურია და არა თვალთმაქცობ, არა ცბიერობ და არ გაიძვერაობ? რატომ ხმა მაღლა არ მოითხოვ, რომ ქართლს მიენიჭოს „მწყემსი კეთილი“, მთესველი სახარების მოძღვრებისა. მქადაგებელი ქრისტიანული ზნეობისა და გამაერცვლებელი ნამდვილი სწავლა-მეცნიერებისა? იქნება ეჭვობ, რომ სინამდვილეს მოკლებულია წარჩინებული გერბალი, როდესაც ამბობს „უსარწმუნოებოდ სკოლა, სკოლა კი არა, ქირის ორმო“-აო, ან კიდევ თანაკარუსსო ჩამოგრჩენია შენ გონებით, რომ დასწერს: „ის, ვინც არა სცნობს სარწმუნოებას და მტრულად უცქერის აღსარებას, არის მოწინააღმდეგე ყოველივე აღზრდისა, ეს წარმატება და პროგრესი კი არ იქნება, არამედ ნაბიჯი უკან“?.. სად ხარ შენ ქართლის სოფელში მცხოვრებო შეგნებულო, შეძლებულო და გავლენიანო კეთილ შობილო? რას შეკუთრებ გულხელ დაკრფილი შენი სისხლხორცის გლეხობის ჭ შენ საკუთარ სარწმუნოებრივ გავლურებას, ზნეობით გადაგვარებას და სულით დაცემას? ნუ თუ ამ შეთხვევაში შენი სიჩუმე და სულის გატვირთვა ღალატი და გამცემლობა არ არის ერისა? მაშ, დაარღვიე სიჩუმე, გამოდი სარბიელზე და მოიხმარე შენი შეგნება, შეიძლება, გავლენა და კეთილი შობილება მშობელ ერში სარწმუნოების დაცვა შენახვისათვის; მტკიცედ და ბეჯითად აუწყე ყველას, რომ ქართლს უეჭველად უნდა ჰყავდეს საკუთარი „კეთილი მწყემსი“ და დღედან ვერავითარი ძალა ვეღარ დაგაყენებს, რომ არ მოუპოვო შენს თანამოძმე გლეხობას სახარების მქადაგებელი, რადგანაც სახარებაში, და მართლა სახარებაშია ხსნა ყოველი ერისა.

სად ხარ შენ, ქართლის მრევლის მღვდელი?

მაგრამ კმარა, აქ შევჩერდეთ და, თუ ვარემოებამ ხელი შეგვიწყო, ქართლის სოფლის მღვდლების შესახებ შემდგომი ვიბაასოთ.

დიმიტრას მამილაშვილი.

**ღმერთი თუ ნივთიერება?**

ვუბღუნა მუსწავლუ თაღობას.

(წერილი მესამე)

ამ პატარ პატარა თვალთ-უნახავმა მატერის ატომებმა, როგორც ირწმუნებიან მატერიალისტები, წარმოშობეს მთელი ქვეყნიერება, დედა მიწა და ცის მნათობები, მათვე წარმოშვეს ცოცხალი არსებები და ადამიანიც, მათ მოძრაობას მიეწერება ადამიანის გრძნობიერობა და აზროვნებაც.

კერძოთ დედა მიწის წარმოდგომის ასახსნელიდ მატერიალისტები სარგებლობენ კანტი-სა და ლაპლასის ჰიპოტეზით. ამ ჰიპოტეზაზე ჩვენ გვქონდა პოლემიკა ბ. გომართელთან 1908 წლის გაზ. „შინაურ საქმეებში“. ბევრი გვიკვირებს, კანტალაპლასის -სახელითაც ურთხობა დაგვიწყეს, „ემმაკის მათრახშიდაც“ გამოგვხატეს, მაგრამ რადგან ჩვენი საბუთები წინააღმდეგი ვერა გვითხრესრა, ამიტომ მათ კიეინასაც არად ვაგდებთ და ჩვენ მკითხველებსაც ისევ იმ პოლემიკაზე მიუთითებთ.\*) აქ მხოლოდ ერთ რამეს დაუმატებთ: სახელდობრ იმის, რომ კანტსაც და ლაპლასსაც აზრად არ ჰქონია თავის თეორია ქეშმარიტებად გამოეცხადებინათ და უცთომელად აღე-არათ ეს ჰიპოტეზა უფრო ქვეყნის გაჩენის აღწერილობას წარმოადგენს, ვიდრე მის გაჩენის მიზეზების განმარტებას, თითქოს კანტი და ლაპლასი გარეშე მაყურებელი ყოფი-ლიყვნენ დედამიწის გაჩენისა, ის აგვი-წერენ მის ამბავს.

თუ გვსურს რომელიმე მოვლენა გამოვიკვლიოთ, უნდა მოვძებნოთ ისეთი პირველი მიზეზი, რომლისგანაც თავისთავად გამომდინა-

რობდეს შედეგი, რომელიც თავისთავად მიზეზად უხდება ახალ შედეგს, ეს შედეგი კიდევ ახალ შედეგს და ასე ქვევით სანამ ჩვენ დასახულ მოვლენას არ მივიღებთ.

ასეთი თანდისთანობა მიზეზისა და შედეგისა არ გამომდინარეობს კანტალაპლასის თეორიიდან მაგ. რომ მივიღოთ დამტკიცებულად ის ვარემოება, რომ პირველ ყოფილი მატერია გაზისებურ მდგომარეობაში იყო თანახმად ხსენებულ ჰიპოტეზისა, ეს კიდევ არ არის საკმარისი მიზეზი მის გაგრილებისა შეკუმშვისა და მოძრაობისა ცენტრისაკენ. გაზი, როგორც ასეთი კი არ უნდა იკუმშებოდეს, არამედ უნდა იშლებოდეს და მეტადგილს იკერდეს. ასე ლაპარაკობს ფაქტი და ფაქტებს კი ვერ წაფუალთ. რომ მეტი არ გავაგრძელოთ, ესნც საკმარისია, რომ კანტალაპლასის თეორია შესახებ ქვეყნიერების წარმოშობისა უძლურად აღვიაროთ. ამ თეორიის დღეს ის ებლაუქება, ვისაც მეტი ნიადაგი არა აქვს და ვერც მომავალში ხედავს. ხომ მოგეხსენებათ: „წყალწადებული ხავსს ებლაუქებოდაო“. ხავსი როგორ დააკავებდა, მაგრამ მეტი ღონე აღარ ჰქონდა, მეტი საშველი არსად იყო. ასე ემართება დღეს მატერიალისტებსაც თავის ყბადაღებულ მატერიათ!....

მეორე მხრით არც ატომებით და მათი მოძრაობით შეიძლება აიხსნას დედომიწის წარმოშობა. როგორც ზემოთ ვსთქვით, ატამი თავისთავად ვერ შეიცვლის ერთხელვე მიღებულ მიმართულებას და უამისოდ კი იგი ყოველთვის ატამი დარჩება და მეტი არაფერი. თუ ატამს თავისთავათ, სხვა მიზეზის დამოუკიდებლად მოძრაობის შეცვლა შეუძლია, რატომაც არ უნდა შეეძლოს აზროვნება, სმენა, მხედველობა და სხვა. თუ მოძრაობა გამომდინარეობს მისი არსებიდან, რა უქირს რომ ეს თვისებებიც გამომდინარეობდენ. ასეთი თვისებების მიწერა სარფაც არის მატერიალისტებისათვის, რადგან უფრო აღვილად შეიძლება მათგან (ატომებისაგან) ცოცხალი ორგანიზმებს წარმოადგენა. ზოგიერთი მატერიალისტი კინაღამ ამ ზომამდისაც კადნიერდება,

\*) იხ. „შინ. საქმ.“ № 1908 წ.

მაგრამ ეს ხომ თავის მოძღვრების უარ ყოფა და საცინლად აგდება. აგრე რომ ვიანგარიშოთ ყველაფერს შეეკნით ატომისაგან. მიეციოთ ატომს, ამბობს მაქს მელლერი, თვისება რკოსი და თქვენ გაგიჩნდებათ მუხა, მიეციოთ მას აზროვნება და წარმოგიდგებათ კაცი,“ მაგრამ ამით ხომ ატომი ატომი აღარ იქნება, არამედ თესლი სხვა და სხვა რთულ არგანიზმებისა. ასე ვერაფერს გვეუბნება მატერიალიზმი თავის ატომებით შესახებ ქვეყნიერების წარმოშობისა.

სანმანიანი.

**მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საქია ცხოვრების არსებობას.**

(გაგრძელება \*)

III.

შეიძლება, განაგრძობს ბ. სტედი, ვინმე სთქვას აქ ამ მაგალითში მხოლოდ ცოცხლების ერთმანეთზე ტელეპათიურ გავლენას ვხედავთ, მეტს არაფერსო. შეიძლება ეს მართალი იყოს, როცა გადმონაცემი ამბავი შეეხება წარსულს, ნახულს და გამოცდილს, მაგრამ რა უნდა ვთქვათ მაშინ, როცა ამბავი შეეხება ისეთ რამეს, რაც ჯერ არ მომხდარა? ასეთი მაგალითებიც ბევრია. აი ორიოდ მაგალითი ამის შესახებ.

იმ დღეს, როცა იულიასგან წერილი მოგვივიდა, რომელიც ზევით მოვიხსენეთ, მან აუწყა თავის მეგობარ ქალს პირობა არავის შეუკრა, რადგან მალე სამი ათას მილზე მოსცილდები ლონდონსო. მას სიცილად არ ეყო ეს ამბავი და პირობა შეუკრა, მაგრამ მალე უნდა დაერღვია, რადგან იძულებული შეიქნა გადგომოდა შორეულ გზას, რომელიც იულიამ უწინასწარმეტყველა.

აი მეორე ფაქტი:

რამოდენიმე წლის უკან მე შემსახურებოდა ერთი მანდილოსანი, ქეშმარიტად შესანიშნავი თვისების პატრონი; სამწუხაროდ, ანჩხლი იყო

და ტანმრთელობაც ნაკლები ჰქონდა. ბოლოს ისეთი აუტანელი შეიქნა, რომ ვფიქრობდი უკვე დამეთხოვა იგი ჩემი სახლიდან. ამ დროს იულიამ მომწერა ჩემი ხელით:

— მოუთმინეთ ე-ნ მ-ს. წლის ბოლომდის იგი შემოგვიერთდება ჩვენ.

მე განცვიფრებული შევიქენი, რადგან არაფერი საბუთი არ მქონდა მეფიქრნა ე-ნ მ-ნის სიკვდილზე. მე მივიღე ეს ცნობა და, არაფერი არ მითქვამს ისე, ვსარგებლობდი იმ მანდილოსნის სამსახურით. თუ მეხსიერება არ მატყუებს, ეს ცნობა მე მივიღე 15 ან 16 იანვარს.

ეს ცნობა განმეორებულ იქნა თებერვალში, მარტში, აპრილში, მაისში და ივნისში და ყოველთვის ეს ცნობა შეადგენდა რომელიმე ვრცელი ცნობის დაბოლოებას.

— გახსოვდეს, რომ ე-ნ მ-ნი წლის ბოლომდე მოკვდება.

ივლისში ე-ნ მ-ნმა უცაბედად პატარა ლურსმანი გადაყლაპა. ლურსმანი წელზეში გაუჩერდა, რამაც საშიშარი ავთომყოფობა გამოიწვია. ორმა ექიმმა, რომლებიც მას სწამლობდნენ, გადასწყვიტეს, რომ არ მოჩჩებოდა. ამ დროს იულია კიდევ სწერდა ჩემი ხელით. მე შევეყითხე მას:

— უთუოდ ეს შემთხვევა გქონდა სახეში, როცა შენ ე-ნ მ-ნის სიკვდილი მიწინასწარმეტყველე.

ჩემმა განსაცვიფრებლად შემდეგი პასუხი მივიღე — არა, ამ გზობისათ ვე მოჩჩება, მაგრამ წლის დამლევამდის მაინც მოკვდება.

— ექიმების განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როცა ე. მ. მოჩჩა და დაუბრუნდა თავის ჩვეულებრივ საქმეებს. აგვისტოში, სექტემბერში და ოქტომბერში ხელახლა მივიღე ცნობა იულიასგან შესახებ ე. მ. გარდაცვალებისა ჩემი ხელის საშვალებით. დეკემბერში ე. მ. ინფლუგციით გახდა ავთ,

— ეხლა? ვკითხე იულიას.

— არა, ის არ მოვა აქ ჩვენთან ჩვეულებრივი სიკვდილით, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, წლის დამლევამდის აქ იქნება.

1) იხ. „ზინ. საქმ.“ № 27.

მე შევფოთდი, მაგრამ ვიცოდი, რომ მომავალი უბედურების ხელის შეშლა არ შემეძლო. გათენდა შობა, ე. მ. ძალიან ავათ იყო. წელიწადი გათავდა, მაგრამ ის კიდევ ცოცხალი იყო. იულიამ ხელახლა გამიმეორა:

— მე შემეძლო მოტყუებულობა რამოდენიმე დღით, მაგრამ, რაც გითხარი, მართალია.

10 იანვარი იყო, როცა იულიამ მომწერა:

— ხვალ შენ ნახავ ე. მ. გამოეთხოვე, მიიღე საჭირო ზომები. ამის შემდეგ მაგას ვეღარ ნახავ ქვეყანაზე.

მე მოვინახულე ავადმყოფი, აციებდა და გლახა ხველება ჰქონდა. ემზადებოდნენ, რომ ის საავთანყოფოში გადაეყვანათ, სადაც უკეთესი მოვლა ექნებოდა. იგი სულ იმას მელაპარაკებოდა, თუ რას იზამდა თავის საქმეების დასაბოლოებლად. რომ ვეთხოვებოდი, ჩემ თავს ვეკითხებოდი, ხომ არ მოტყუვდა იულია მეთქი?

ორი დღის შემდეგ მე მივიღე ტელეგრამა, რომელშიდაც მაუწყებდნენ, რომ ე. მ. შეშლილობის გამო მეოთხე სართულის ფანჯრიდან გადმოხტარყო და შკვდარი აეყვანათ. მისი სიკვდილი მოხდა რამოდენიმე დღის იქით შემდეგ იმ თორმეტი თვისა, რომელზედაც იყო ლაპარაკი პირველ წერილში.

ამ ამბის სინამდვილე შემიძლია დავამოწმო თვით დედან ხელნაწერებით და ჩემი ორი სეკრეტის მოწმობით, რომლებსაც თავის დროზე საიდუმლოთ გადაგებინე იულიას გაფრთხილება.

არ შეიძლება ვიპოვოთ უფრო მეტი დამტკიცება, ვიდრე ეს წინასწარმეტყველება თორმეტჯერ განმეორებული. ამის შემდეგ ყველაფერს, რაც კი შეიძლება ითქვას მეხსიერულ თუ უმეხსიერო ტელეპათიაზე, უმნიშვნელოა.

IV.

მანდილოსანი, რომელზედაც მე ეხლა მოგახსენებდით და რომელმაც ასე ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე, ოთხ რამეს დაჰპირდა; იმას უნდა აესრულებია ეს დაპირებები, თუ ჩემზე ადრე მოკვდებოდა.

სიცოცხლეში, როცა სხვაგან იყო ხოლმე, იგი ყოველთვის სწერდა ავტომატიურად ჩემი ხელით. იგი შემპირდა, პირველად, სიკვდილ შემდეგაც, თუ შესაძლებელი იქნა, — ისარგებლებდა ჩემი ხელით, რომ შემატყობინოს, როგორ გრძნობს თავს საფლავს იქით; მეორედ, უნდა გამოცხადებოდა ერთს ან რამოდენიმე თავის მეგობარ ქალებს; მესამედ, მას უნდა გადაეღებინებია თავის ფოტოგრაფია და ბოლოს მას უნდა გამოეგზავნა ჩემთვის მედიუმის საშვავლებით წერილი, რომლის სინამდვილე უნდა დამეოწმებია თავის ხელმოწერით; მრგვალი ხაზში ჯვარი უნდა ჩაესვა, რაც ნიშანი იქნებოდა მისი ხელის მოწერისა.

ე. მ-მა შეასრულა ოთხივე დაპირება.

1) მან რამოდენჯერმე დასწერა ჩემი ხელით, რაც უთუოდ იმდენადვე მოსახერხებლად ჰპოვა სიკვდილ შემდეგ, რამდენადაც სიცოცხლეში.

2) ის ორჯერ გამოეცხადა ნაცნობებს, მათ შორის ერთ მანდილოსანს. ერთხელ ის გამოეცხადა სტუმრებით სავსე სასაბუღო ოთახში. სტუმრებმა იგი ვერ შენიშნეს, გარდა მისივე ამხანაგი ქალისა, რომელმაც იქვე აღიარა, რომ ცხადად დაინახა მიცვალებული. მეორედ იგი გამოჩნდა დღისით ქუჩაში, გაიარა რამოდენიმე ნაბიჯი და შემდეგ გაჰქრა. მე შემიძლია დავამოწმო, რომ ეს მოჩვენება ისეთი ცხადა იყო, რომ არაფერი ეჭვის შეტანა მის პიროვნების სინამდვილეში არ შეიძლებოდა.

3) თორმეტჯერ მაინც გადაგვადებინა ფოტოგრაფიული სურათი შემდეგ სიკვდილისა. ყველა სურათზე შეიძლება მისი ცნობა უცილობლად და არც ერთი სურათი არ არის ასლი სიცოცხლეში გადაღებულ სურათისა.

4) ბოლოს რამდენიმე თვის შემდეგ მე მივიღე დაპირებული წერილიც

მე უკვე თითქმის დავკარგე ყოველივე იმედი, როცა უეცრად ერთმა მედიუმმა საუბ-

მის დროს ერთ თავის ნაცნობთან ავტომატიურ წერის პირველ კლისთანავე მიიღო შემდეგი უწყება: „უთხარი ულიამს, ნუ გამიწყურება ამისთვის, მეტი საშუალება არ მქონდა“.

შემდეგ გამოიხატა სიმრგვლე ჯვრით შუაგულში. არაფერ ჩემს მეტმა არ იცოდა ჩვენი პირობა. მე ვერ ვიცნობდი მედიუმს და ჩემი ნაცნობი ქალი (რომელთანაც სტუმრობდა მედიუმი) არ მოელოდა ე. მსგავნ არაფერთა წერილს. და რა არის გასაკვირვალი, რომ მე ყველა ამ შემთხვევის და გამოცდილების შემდეგ არ ვეჭვობდე იმაში, რომ შესაძლებელია დამოკიდებულება ეგრეთ წოდებულ მკვლრებთან.

სანანიაი.

(შემდეგი იქნება).



**ხმა მრევლისა. \*)**

ვთქვამთ ბრალი თუ როგორ გახტებში საპოლემიკოდ გახადეს ჩვენი სარწმუნოება ეს ბურჯი ადამიანთა ცხოვრებისა, და 15 საუკუნის განმავლობაში ჩვენი წინაპართა სადიდებელი, იმედი და ხელ-მძღვანელი მრავალთა უსჯულოთაგან დაცვისათვის ენისა და ეროვნობისა. ვინ გამოიცინობს, თუ ვისგან არის საპაპი ამ უკუღმართობისა!!

მე მახსოვს ჩემს ბავშობაზე: როცა ბერი გინა მღვდელი ქადაგებას დაიწყებდა ყველა მართ-მადიდებელი ქრისტიანი გადისახებდა პირჯვარს და ისე სმენად გადაქცეული შეყურებდა მქადაგებელს და ცდილობდა გათავებად სიტყვა არ გამოპაროდა. დღეს? დღეს ბერმა გინა მღვდელმა ქადაგება, რომ დაიწყოს უმეტესობა ჩვენგანისა, წყრომით თვალს დასწყურავს და ზურგს შეაქცევს!! აი ეს არის მწვავე საკითხი. თუ ვინ არის ბრალი ამ გადაბრუნებისა. რომ მოგახსენებთ ჩემს ბავშობაზე თქო, მაშინ მღვდლობას სამღვდლო ცდილობდა ღვთის სამსახურის სურვილითა

\*) ვებედავთ ამ წერილს უკვლელად, თუმცა ბევრში არ ვეთანხმებით.

რედ.

და სარწმუნოების სიყვარულის და ამ ჰაზრით გატაცებული ქეშმარიტად ადგა შეძლებისა და გვარად ქვეყნის მხსნელის სიტყვის განხორციელებას: ტვირთ მძიმეს უსუბუქებდა ტვირთსა, ივით-მყოფს უვლიდა და ნუგეშს აძლევდა, ობოლთა ოხერთა ხელს უმართავდა ყოველი თავის ღონით; ხოლო შეწუხება და შევიწროება მოძღვრისაგან ვინმეს როგორ მიადგებოდა; დღეს-კი სულ უკულმა გადააბრუნეს ეს მცნება ქრისტიანობისა ჩვენი სულიერი მამებმა; უმტყუნეს წინა მძღოლობას, უმტყუნეს მწყესობას და ისე უყურებენ თანმდებობას, როგორც საზრდელთა მოსაპოებელი სახსარი. და მრევლთა როგორც მოსაკრეპი ცხვრებს; იმას ცდილობენ საიდან მეტი მოკრიჭონ და არც იმას დაერიდებიან, რომ მოგლიჯონ კიდესა!!! მაშინ თუ მღვდლობას კისრულობდენ სარწმუნოების სიყვარულითა, დღეს ტვინს ასხამენ თავიანთ ჯიბის სიყვარულითა, შიში ღვთისა და სიყვარული სარწმუნოებისა სრულიად გაშვებული. ბ. კინკითე-ლელი ხალხს უსაყვედურებს: რალაც ორი კაპეიკიზა სარწმუნოება გაიმეტესო. ამაზედ იტყვის მაცხოვარი „ღირე და ბეწვსა“. დამისახელეთ იმისთანა მღვდელი მთელს ჩვენს მხარეში, რომ ჯვარის დაწერის დროს ვაჭრობა არ ქონოდეს და ისე უვაჭრელად შეესრულებინოს ეს წმინდა საიდუმლო! მე მგონია უმეტესად აქ პოულობენ ადგილს მეტის მოკრეკისა და მოგლეჯისა!! ყოფილა თუ არა მაგალითი: მღვდელს მათრახისა და მახვილის ძალით დაემოჩილებინოს თავისი ურჩი სამრევლო?! ყოფილა თუ არა მაგალითი: მახვილი და მათრახი ეხმაროს მღვდელს თავის სამრევლოში დრამის ფულის აღების დროსა?! მე გაბედვით გეტყვით ყოფილა და არა იშვიათად ყველა ესენი. იქნება ვინმემ მიპასუხოს: უამისობა თუ არ შეძლებოდა რა ექნათო! საქმეც ამაშია; რომელი კეთილიშვილია თავის მოკეთე მამას არ ემორჩილება, ან პურს არ მიაწვდის საჭირო შემთხვევაში! ამისთანა ღვთის გარეგანი ოთხი და ხუთი იქნება და ბევრად სჯობს იმათი მიტვევა ვინემ მათრახისა და მახვილის ხმარება მოწაფისადმი

სარწმუნოების წარმომადგენლისაგან! ვინ გაძარცვა გელათის მონასტერში ფას-მიუწოდომელი სახარება?! ვინ დასთხარა იქვე ღვთის მშობლის ხატსა ძვირფასი თვლები?! და სხვა რამდენია ამისთანა მაგალითები საქართველოს მონასტრებსა და ეკლესიებში!! იხილე ამაზე ღრობების კალანდარი 1908 წელისა შედგენილი ი. შკედლიშვილის მიერ გვ. 18 და 19. ვინ სთარგმნა ლოცვები და წირვის წესი მეგრულს ენაზე? სად იყო ამ 15 საუკუნის განმავლობაში ჩვენი სულიერი მამები, თუ ქვეყნის შემომქმედს ქართული ენა არ ესმოდა, მთელი ჩვენი წინაპარი, რომ პირუტყულად დაკარგულა, ჩვენი ლოცვა ვედრება ღვთისადმი არ მიღწევილია, რას შერებოდა ჩვენი მწყევლები და რა ღონე უხმარიათ ამაზე!

დღეს, რომ გაიძახიან არიქა გვიშველეთ, კალამი ხელში აიღვეთ დავაცვათ ჩვენი სარწმუნოება ქრისტიანობის რჯულით! აქმინდა მოვავლონ პატივცემულ მამებს სიტყვა ქვეყნის მსხნელისა: „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს“. სარწმუნოებაზე ბაასი და პოლემიკა ყოვლად შეუწყნარებელია სარწმუნოება სასოებაა გულისა, სარწმუნოება ხელ შეუვალია ყოველი ადამიანისაგან ვისიც გინდ იყოს იგი.

ხშირად დაყავთ ადგილობრით გამოძიების დროს ყულის კარიდან წმინდა გიორგის ხატი, ქვეშაირების აღსადგენათ, აბა მივაქციოთ ყურადღება თუ როგორ ტყავდება მომწიფევი! რატომ წაიღო ბლადოჩინად მყოფი მამა ა. თ.—ძემ ერთის წლის განმავლობაში მესამე ნოსირის შტატის ეკლესიიდან; 4 მ. 28 კ.—5 მ. 72 კ.—6 მ. 15 კ.—რატომ წაიღო ამავე ეკლესიიდან ორი წლის განმავლობაში ბლადოჩინი მამა 4მ. 20 კ.—7მ. 40 კ.—10მ.—20 კ.—2მ. 40 კ.; 15მ. 96 კ.—! მერე რავარი ეკლესიიდან? უვარგისობისა გამო რევიზიის დროს დაკეტა ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსმა და ოთხის თვის განმავლობაში ყოველ მღვდელ-მოქმედებს მოკლებული იყო მთელი სამრევლო თავიანთ სიღარიბის გამო! ამისთანა ეკლესიის მღვდელი და მერე ისიც ბლადოჩინი, ესე იგი რჩეული აქეთ შესძენს თუ იქით წაიღებს, რა საბუთისა და კანონის ძალით! რა ქვიან ამას თუ არ გაძარცვა ეკლესიისა? ყოფილა თუ არა მაგალითი სასულიერო მთავრობის პირსა მთხოვნელისათვის პოლიტიკა მიეგებებინოს დაკმაყოფილების მაგიერ!

აი სიყვარული და დაცვა სარწმუნოებისა!! კურთხეულ იყოს მარჯვენა ბ. კირილე წუთისოფელისა, რომ გაკვირთ მანც ამხელს და ამტყუნებს ბევრი მისი ამხანაგებს. კურთხეულ იყოს მარჯვენა ბ. ბოსლეველისა, რომელიც ამხილებს თავის ამხანაგებს და წინასწარ მეტყვილი იეზუიტის სიტყვით ურჩევს ბოროტ მწყევლობაზე ხელის აღებასა.

აქ ბაასი, პოლემიკა და თავის მართლება, სრულიად წყალის ნაყუაა და მეტი არაფერი; აქ არის საქირო მაგალითი კეთილ მოქმედებისა, გაგდება ანგარებისა და სიტყვა უფლისა „იყვარებოდეთ ურთი-ერთარსს, რათა ერთობით აღიარებდეთ“. მოიტანეთ წაღებული და დასდევით თავის ადგილას და მითი უჩვენეთ ქვეყანას, რომ მოინანიეთ შეცდომებიანი და შეცდომილებანი. აქ, რასაკვირველია, წაგებაძავთ თქვენი სამწყსოიკა და გვიღვადებს უკვე უკულმართობით მიძინებული სიყვირული სარწმუნოებისა.

როგორცა ხედავთ მე მივედი იმ დასკვნამდის, რომ საბაბი ამ უკულმართობისა ყოფილა სასულიერო წოდების უმრავლესობათა მოღვაწეობით.

მარკოზია უთუნია.

**კეთილი ნიშანი.**

გაზ. „ივერია“\*) თავის მე-41 ნომერში დიდ შეცდომათ სთვლის იმ გარემოებას, რომ ქართველებმა თავის დროზე მხარი ვერ დაუჭირეს სამღვდლოებს ავტოკეფალიის საქმეში და ეს დიდებული საქმე აბუჩად აიგდეს.

თუმცა გვიან არის ასეთი საყვედური ქართველ შევცებულ ნაწილისადმი, მაგრამ სამართლიანი კია ერთი მხრით, მეორე მხრით სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ასეთი საყვედური ისევ იმ წრეში გაისმა. რომელიც თუ არ უარყოფდა, არ თანაუგრძნობდა მანც ავტოკეფალიის საქმეს. თუ სინანული გასწორების ნიშანია და „ივერიის“ სტატია სინანულია ჩვენი პრესისა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი და მოწინავე ინტელიგენცია შეუდგება მუშაობას, რომ შეაგებინოს საზოგადოებას, თუ რას ნიშნავს თავისუფალი ეკლესია ხალხის ზნეობრივად აღზრდისა და განვითარებისათვის.

საზოგადოდ არავის უნდა ავიწყდებოდეს ის გარემოება, რომ თუ ადამიანი ცხოველია,

\*) იხ. „ივერია“ 19 თქტომბრის.

იგი პირველად ზნეობრივ საწმუნოებრივი ცხოველია და ეს თვისება ის საფუძვლიანი ქვეყნიერების განვითარებაში, რომელიც ადამიანს ადამიანად ხდის და აყენებს ყოველ ქმნილებაზე მაღლა, მეფედ და სჯულმდებელად ბუნებისა.

მოსწყობით ადამიანი სარწმუნოებისაგან და თქვენ მალე დარწმუნდებით, რომ იგი ადამიანი აღარ არის, არამედ პირმეტყველი ცხოველია. სარწმუნოებას დაცვილებული ადამიანი, იგონებ, მიტყველებსაც მალე დაკარგავს, რადგან მისი მოთხოვნილება აღარაფრით ვარჯიშული აღარ იქნება პირუტყვების მოთხოვნილებისაგან და ამ მდაბიო მოთხოვნილებას კი პირუტყვებიც კარგათ გამოხატავენ უნათ: ბლავილით, ხვიხვინით, კნავილით, ყფვით, ღრენით, კულის ქნევით და სხვა სხეულის ნაწილების მოძრაობით. ადამიანის ენა მისი მაღალ და მიუწომელ გრძნობების გამომეტყველია და ამ გრძნობების დანაბლია. მაიმუნს არ აქვს წარმოდგენა უმაღლეს საკითხებზე, რომლებიც საესებით იპყრობენ ადამიანის არსებას და ამიტომ მეტყველებსაც მოკლებული არის. მისი სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილება არ აღემატება ქამასმას და ამისათვის მეტყველება საჭირო არ არის მისთვის; ამ მოთხოვნილებას საესებით აკმაყოფილებს საქმელის მისაღები პირი და მომწიფებელი კუჭი.

კაცობრიობის ისტორიას მარტო კომპოსტო და ლობიო არ ქმნის, როგორც ამას გვიმტკიცებს მარქსი და მთელი გუნდი მატერიალისტებისა. სარწმუნოება, ადამიანის დამოკიდებულობა უმაღლეს არსებასთან, აი უმთავრესი შემოქმედი ისტორიისა. ამიტომ საჭიროა ანგარიში გაუწიოთ ადამიანის სულიერ-სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას, საჭიროა ანგარიში გაუწიოთ მის სარწმუნოებრივ დაწესებულებას დარწმუნებული, რომ ეს ისეთივე მოთხოვნილებაა მისი სულიერი ბუნებისა, როგორც საქმელ-სასმელი ხორციელისა. თუ სულის უფლებას უფარს ყუფთ სარწმუნოების საქმეში, რა უფლებით ვაკმაყოფილებთ მის მოთხოვნას სხვა და სხვა დაწესებულებებით, რომლებიც მხოლოდ სულის აკმაყოფილებენ. რა საჭიროა უმაღლესი მათემტკიცა თავის ბინომებით და პროგრესებით, ასტრონომია თავის მზეებით და მთვარეებით, რომლებიც ერთ ჩირადაც არ უღირს ჩვენ სხეულს, ერთი წამითაც ვერ აგრძელებენ ადამიანის სიცოცხლეს?

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობა, რა თქმა უნდა, კუჭს არაფის გამოუძღვებს,

წინააღმდეგ, ბერს შესაძლოა, კიდევ დაამშვეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი საჭირო არ არის. ეკლესიას თავის განსაზღვრული ალაგი უჭირავს კაცობრიობის ისტორიაში. იგი განაგებს ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას, იგი წინ უძღვის მას ცისადმი, იგი ზრდის და წრთვნის მას ზნეობრივად, იგი, მოკლედ რომ ვთქვათ, ხდის მას ადამიანად ამ სიტყვის ფართო აზრით.

უმორჩილესად ვთხოვთ ჩვენ ეკლესიის მტრებს ნუ აურევენ ერთმანეთში ეკლესიას და სამღვდლოებას. სამღვდლოება, და მით უფრო გარყვნილი სამღვდლოება, არ შეადგენს ეკლესიას. მაგრამ იგი აუცილებელი საჭიროებაა ეკლესიისთვის. მართალია სამღვდლოება ხელმძღვანელია ეკლესიისა, მაგრამ განა სხვა სასარგებლო და საჭირო დაწესებულებას არ ჰყავს უფარვისი და პირდაპირ მანებელი ხელმძღვანელი? საზოგადოების, ან უკეთ ვსთქვათ, ეკლესიის საქმეა მოითხოვოს კარგი სამღვდლოება და მას ეყოლება იგი. ებლანდელი ჩვენი საზოგადოება არ თხოულობს კარგ სამღვდლოებას ეს იქადგან სხანს, რომ იგი უწონებს მას უღვთობას. მოითხოვს მისგან ცუდ ჩვეულებათა და მიდრეკილებათა განმართლებას; იგი სჯის, სასტიკად სჯის მღვდელს, რომელიც არ აყოლია მოღას, გულით ემსახურება თავის მოვალეობას. იგი დასციინის მას, როგორც ცრუ მორწმუნეს, როცა ის არ ეთანხმება თანამედროვე მეცნიერებას პრინციპებს და აი სამღვდლოებაც თავის შესაფერი ჰყავს, განსაკუთრებით ნასწავლი სამღვდლოება! უმთავრესი ნაწილი დღევანდელი სამღვდლოებისა მონაა მოღური მოთხოვნილებისა, მოკლებულია სულიერ სიმტკიცეს საკუთარ რწმენას და ამიტომაც ლელწამივით ხან იქით ირხევა და ხან აქეთ იმის მიხედვით თუ რომელი მიმართულებაა დღეს გამწეებული.

ბოსლუველი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამულიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეშავა.

# რედაქცია

უმოკრძილესად სთხოვს  
 ხელის მომწერლებს  
 წარმოადგინონ ამ წლის  
 ხვედრი ფასი

(იხ. „შინ. საქ.“ № 21).

# ვაგზალებ

სამღვდილოთ & საღიაკუნთ  
 საგნეზუი,  
 აგრეთვე სამასწავლებლო  
 ეგზემენის ასაღებად. ❀  
 ადრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17.

# დაიბეჭდა

შემდეგი ბლანკები:

## კლირთვის უწყებები

ახალი ფორმისა  
 თანახმად უწ. სინოდის ნაჩვენებ ნიმუშისა.

## კანტრაკტი

საეკლესიო მამულების იჯარით გასაცემად.

## სავაჭრო ფურცელი

(Торгов. листъ)

## ჯილდოს ფურცელი

(Наградн. листъ).

### მოიპოვებთ

იმერეთ. წმ. გიორგის სარწმ. განმ. „ძმობის“

# სტამბაუი

ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩაზე, ს. კირიშჩევის  
 სახლში (გუბერნატ. კანც. ქვეშ).

# გამოვიდა ახალი წიგნაკები

გამოცემა იმ. ეპარქ. წმ. გიორგის სარწმუნოებრივ-  
 განმანათლებელ „ძმობის“.

№ 1

სწამთ თუ არა მყენიერებს  
 ღვთის არსებობა?

№ 2

# წიგნი წიგნთა.

(სვეტლოვიდან)

თარგმ ნაცარყანელისა.

თითო წიგნაკის ფასი ერთი შაურა.